საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030183796738320

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/8118 **14 / ივლისი / 2020 წ.**

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" გენერალური
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზურაბ ქიტოშვილს

ბატონო ზურაბ,

როგორც მოგეხსენებათ, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის ყაზახეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემა განიცდის დიდ დატვირთვას. ყაზახეთის რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში სამედიცინო პერსონალის მზარდი დეფიციტის გამო, ყაზახეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას მომართა მანგისტაუს ოლქში ქ. აქტაუში ქართველი ექიმების გაგზავნის თხოვნით, COVID-19-თან ბრძოლის ფარგლებში კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით.

სამედიცინო პერსონალის ყაზახეთში ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავს მომწვევი მხარე. დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას აღნიშნულ შემოთავაზებასთან დაკავშირებით, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის, რაოდენობისა და საორგანიზაციო დეტალების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე მოთხოვნილია 14-კაციანი სამედიცინო ჯგუფის გაგზავნა, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი ჯგუფების ფორმირება.

გთხოვთ, განიხილოთ ყაზახეთის მთავრობის შემოთავაზება და არაუგვიანეს 2020 წლის 16 ივლისისა, რუსულ ენაზე მოგვაწოდოთ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით დაინტერესებული შესაბამისი სამედიცინო პერსონალის შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, კვალიფიკაცია, სამუშაო ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია).

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად თამარ გაბუნია